ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კახა კალაძეს

ასლი-- ს.ს.ი.პ. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის უფროსს

ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ასლი--ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

მუნიციპალური ინსპექციის უფროსს

ბატონ გიორგი ბაგრატიონს

ბატონო კახა,

თქვენი 2018 წლის 14 ნოემბრის № 10-0118318538 წერილზე (პინი 8753) გაცნობებთ შემდეგს:

III-ე კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობებისას, ამჟამადაც სახეზეა და ეჭვშეუვალია ხსენებულ საქმეში არსებული სისხლის სამართლის მრავლობითი დანაშაულის ნიშნის არსებობა,რაც როდესმე იქნება ობიექტურად გამოძიებული სრულფასოვნად,ზემოხსენებულის დასტურად წარმოგიდგენთ მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს;კერძოდ;

1.ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას 76-ს მიმდებარედ (ნაკვეთი 039/032), საკადასტრო კოდ 01.14.03.039.055(048)-ზე, მიმდინარე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისას დაშვებული რიგი დარღვევები, 2017 წლის 29 მაისის № 3284506 ბრძანებით დაკანონდა, თუმცა დაკანონების შემდგომ არანაირად არ აღმოფხვრილა ქვემოთ მითითებული დადგენილებებითა და მიტითებებით განსაზრვრული სამშენებლო სმშენებლო სამართალდარღვევები ე.ს.ა. ,,ვაჟა-ფშაველა 2007",-ის მიმართ,ანუ ხსენებულმა ბრძანებამ არ/ან ვერ მოიცვა ყველა დარღვევის დაკანონება,მათ შორის:

ა) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის, 2016 წლის 19 თებერვალის დადგენილება № 000900-ით განსაზღვრული დარღვევები;

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის, 2017 წლის 7 თებერვლისა და 2017 წლის 1 მარტის მითითება #002326- და # 002326

გ).2018 წლის 11 ივნისის დადგენილება № 000112 არის ტენდენციური არ ასახავს სრულ და ყოვლისმომცველ დარღვევების სურათს და ხორციელდება იმის გაპრავება თითქოს შენობის შიგნით გამავალი პანდუსის დახრაა 20% თუმცა რეალობა სულ სხვაა დაკანონებულ პროექტში

მითითებული,შენობის შიგნით არსებული პანდუსის დახრაა 18%, ხოლო მისი ფაქტიური სრული დახრა (შენობაში და შენობის გარეთ არსებული ნაწილის ჩათვლით) ს.ს.ი.პ.ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტის დასკვნა #000237416-ით შეადგენს 25%, ხოლო შ.პ.ს. ,,თამაზი 51''-ის მიერ გაცემული დასკვნით კი დგინდება, რომ შენობის შიგნით გამავალი პანდუსის მონაკვეთის დახრაა 22,5%, ხოლო შენობიდან გარეთ გამავალი პანდუსის მონაკვეთის ფაქტიური დახრა კი შეადგენს 21,2%, ნაცვლად პროექტში მითითებული 14 %-ისა.

ბ) დაკანონებულ პროექტში მითითებულია რომ, ,,დ'' და ,,გ'' ღერძებს შორის მანძილია 5,30 რასაც საწყის -7,53 ნიშნულზე აკლდება ელ.ტრანსფორმატორის ცხაურის კბილის სიგანეა 1,5მ, ანუ დამტკიცებული პროექტით, სამანქანო პანდუსზე ავტომობილის შემსვლელ-გამსვლელი განია 3,80მ, თუმცა ფაქტიური საკონტროლო აზომვებით დადგინდა, რომ კოლონებს შორის მანძილია 4,84მ, მითითებული ზომის უტყუარობა ასევე დასტურდება, ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით, შესაბამისად 4,84მ-1,5მ=3,34მ, თუმცა მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნილია 3,5მ გზის განის არსებობა, ხსენებული ფაქტია ასევე ადასტურებს აჟამად დაკანონებული პროექტის უხეშ დარღვევას;

გ) 2017 წლის 07 თებერვლის 002326 მითითებით (წამყვანი სპაციალისტი ბატონი თომა ხიჯაკაძე) სახეზე იყო ისეთი ტიპის დარღვევები, რომელთა დაკანონების მოთხოვნით სამშენებლო სამართალდამრღვევ დავით მახარაშვილს, არქიტექტურის სამსახურისათვის არ მიუმართავს და შესაბამისად, უკანონობები არ დაკანონებულა, (იხილეთ: 2017 წლის 12 აპრილის განაცხადის #AR1495384-ით ,,განმარტებითი ბარათი-ს'' ველში მითითებული ტექსტური ნაწილი და ,,შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმების pdf ფაილები''),კერძოდ;

გ.ა) ,,+0,00 ნიშნულზე შემცირებულია სართულის სიმაღლე'' ხსენებული დარღვევის დაკორექტირების მოთხოვნა და შესაბამისად მისი დაკანონება არ გახორციელებულა;

გ.ბ) ,,+4,20 და 7.90 ნიშნულებზე გაზრდილია სართულის სიმარლე'' ხსენებული დარღვევის დაკორექტირების მოთხოვნა და შესაბამისად მისი დაკანონება არ გახორციელებულა;

გ.გ) ,,+0,00,+4,20,+7,90 და +11.60 ნიშნულებზე ,,6-7'' მონაკვეთში ,,ბ-ბ'' ღერძებთან გაზრდილია სართულშუა ფილის სიგრძე'' ხსენებული დარღვევის დაკორექტირების მოთხოვნა და შესაბამისად მისი დაკანონება არ გახორციელებულა;

დ). დაკანონებული პროექტის მიუხედავათ, ობიექტზე ჩატარდა და ამჟამადაც ტარდება სადემონტაჟო სამუშოები ,ხოლო მასში პროექტის დარღვევით მოეწყო დამატებითი რიგელები და რანდკოჭები,იგი არ არის პროექტით გათვალისწინებული

ე) მშენებლობა არ არის შემოსაზრვრული დამცავი ბადით

ვ). მაცხოვრებელი მოსახლეობა კატეგორიული წინააღმდეგია ხსენებული ოფისის კანალიზაციის ჩართვისა, კორპუსების კუთვნილ საკანალიზაციის ქსელში ვინაიდან, იგი

მეოთხედაც მოწყობილია აბსოლიტურად უხარისხოდ, სამშენებლო წესებისა და ნორმების უხეში დარღვევებით, (საკანალიზაციო ქსელს არ აქავს მინიმუმ 10%-ნი დახრა) რაც იწვევს ვაჟა-ფშაველას 76ბკორპუსის საძირკველის პემანენტულ დატბორვას, აღნიშნულზე მზადდება სათანადო დასკვნა და მას წარმოგიდგენთ დამატებით;

ზ) ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკნით მოთხოვილია პანდუსზე შესასვლელი სიმაღლე 4,25 მეტრის ოდენობით, ხოლო მისი ფაქტიური სიმაღლეა საშუალოდ 2.90 მეტრია,რაც წარმოადგენს კანონის უხეშ დარღვევას;

თ) სამშენებლო სამართალდამრღვევ დავით მახარაშვილს დამტკიცებულ პროექტში მითითებული აქვს, რომ ,,გ" და ,,ბ" ღერძებს შორის მოსაწყობი აქვს შშმპ-ისათვის განკუთვნილი პანდუსი, ეტლის სავალი I ნაწილი იწყება ,,1" ღერძიდან, ,,2"-ე ღერძის მიმართულებით, -7,60 ნიშნულიდან და მთავრდება -7,54 ნიშნულზე მოწყობილი ჰორიზონტალური ბაქნით, ხოლო პანდუსის დახრად მითითებული აქვს i=6%, თუმცა ელექტრონულ სისტემაში მის მიერ ,, გენერალური გეგმის pdf ფაილში" ატვირთული გეგმით (დანართი#2 ,,1" ფურცლად) ნაცვლად საპროექტო ნახაზზე მექანიკურად მითითებული -7,54 ნიშნულისა, ფაქტიურად არის -6,88 ნიშნული, ხოლო იმავე პანდუსზე, ღერძი ,,3"-ის კვეთაზე დატანილი -7,18 ნიშნული კი, ფაქტიურად არის ნიშნულია -3,55, ხსენებული თაღლითური ქმედების ფაქტის ეჭვშეუვალობა დასტურდება დავით მახარაშვილის მიერ დამტკიცებული პროექტის ,,გენგეგმების pdf ფაილში" ატვირთული ნახაზით, (დანართი#3 ,,1" ფურცლად) სადაც სამართალდამრღვევს გამორჩა, საფეხმავლო კიბეზე ასევე დატანილი ნიშნულ-6,88-ისა და-3,55-ის წაშლა. ამრიგად შესაბამისი მარტივი გათვლებით შშმპ-ის ეტლით გადასაადგილებელი პანდუსის სავალი I ნაწილის დახრაა 10%-ზე მეტი, ხოლო დანარჩენი II-ე და III-ე ნაწილის დახრა კი 18%-ზე მეტია, აღნიშნულით უხეშადაა დარღვეული მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;

თ.ა.) დარღვეულია საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 6 იანვრის #41-ე დადგენილების, მუხლი 3, პუნქტი 5-ით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ; დამტკიცებული პროექტით, შენობაში არსად არ არის გათვალისწინებული, პირადი სატრანსპორტო საშუალების შესანახი ადგილი;

თ.ბ.) დარღვეულია საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 6 იანვრის #41-ე დადგენილების, მუხლი 3, პუნქტი 8-ით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ; დამტკიცებული პროექტით, საზოგადოებრივ სანკვანძებში,არ არის გათვალისწინებელი არანაკლებ ერთი კაბინა ეტლიანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ასეთი კაბინა უნდა მოეწყოს საკანალიზაციო ტრაპით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასიგნალო კავშირით, გამოძახების ან სასიგნალო ღილაკით, რომელიც განთავსებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სანკვანძის სამორიგეო ოთახში. ხელსაბანის ერთი ნიჟარა უნდა მოეწყოს იატაკიდან 0,80 მეტრის სიმაღლეზე და გვერდითი კედლიდან 0,20 მეტრის დაცილებით, მრავალფუნქციურ კომპლექსში არსად არ არის გათვალისწინებული, აღნიშნული ადგილი;

თ.გ.) დარღვეულია საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 6 იანვრის #41-ე დადგენილების, მუხლი 5 , პუნქტი 9-ით გათვალისწინებული მოთხოვნები, ვინაიდან დამტკიცებული პროექტის

„2" და „3" ასევე „3" და „4" ღეძებს შორის მანძილი მინიმუმ 6,15-6,15 მეტრია, აქედან გამომდინარე 6 მეტრზე მეტი სიგრძის პანდუსის დროს უნდა მოეწყოს დასასვენებელი მოედნები (და არა მხოლოდ ბაქანი), მრავალფუნქციურ კომპლექსში არსად არ არის გათვალისწინებული, აღნიშნული 2 მოედანი;

ი) შენობაის საზურავზე უკანონოდ დამონტაჟდა მიკვადრატის საყდენი ბოძები და იგი გადაიხურა, ამრიგად შენობა ყკვე გახდა 7 სართულაინი, ზედამხედველობის ინსპექცია კი დუმს!

2. უკანონოდ დამტკიცებულ პროექტში,სართულის გეგმა ნიშნულ -6,80 დან,ნიშნულ-3,26-სა და ნიშნულ -3,26-მდე ახლად მოწყობილი კიბის განი შეადგენს 1.28მ, რაც ეწინააღმდეგება, 2014 წლის 6 იანვარის, საქართველოს მთავრობის დადგენილება №41-ს,, ქ. თბილისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" მუხლი 6,პუნქტი 1,მასში კიბის განის იმპერატიული მოთხოვნაა 1.5 მეტრის

3. უკანონოდ დამტკიცებულ პროექტში,სართულის გეგმა ნიშნულ -0,19 დან, ნიშნულ +11,61 ნიშნულამდე მოწყობილი ახალი კონსოლებით დაირღვა 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანება, რადგან ბავშვთა და ახალგაზდობის ეროვნული ცენტრის კუთვნილ საკადასტრო საზღვარს მიუახლოვდა 1,5 მეტრით,ხოლო კანონმდებლობით მიჯნის საზღვარია 3 მ;

4. ხსენებული მშენებლობა მიმდინარეობს ისე, რომ არსად არ არის განთავსებული ბანერი და შესაბამისად, არც ჯარიმა დაკისრებია სამშენებლო სამართალდამრღვევს, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევისათვის, რითიც ასევე ზარალდება სახელმწიფო ბიუჯეტი;

*5. ამასთან ქ.თბილისის ვაჟა-ფშაველას გამზირი 78- 4 სადარბაზოიანი სახლის მაცხოვრებლებმა არაერთხელ მიმართეს მერიას კოლექტიური განცხადებით და დააფიქსირეს წინააღმდეგობრივი პოზიცია ე.წ.,,მწვანე კორპუსის" მხარეს მოწყობილი ღიობების გაუქმების თაობაზე, რაც დღემდე არ გახორციელებულა, აღნიშნულიდან გამომდინარე გმა ,,იმედი2002" წევრების სახელით კიდევ ერთხელ, დაბეჯითებით მოგმართავთ თხოვნით გააუქმოთ, 2017 წლის 29 მაისის **#3284506** ბრძანება და შენობის გაბარიტები და ღიობები კი მოიყვანოთ კანონთან შესაბამისობაში;*

6. <u>2018 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით</u> დაუსრულებელია შენობის მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი (კიბეები,ერკერები,დიაფრაგმები,კოლონები და სხვა),ხსენებულით კი დარღვეულია სამუშოების წარმოების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული მოთხოვნები;

7. არა არის დემინტირებული და შესაბამისად შენობაში არ არის მოწყობილი, შშმპ-ისათვის განკუთვნილი პანდუსები, ბაქნები და მოედნები,ლიფტის შახტები,ახალი გეგმარებით გათვალისწიენებული კიბის უჯრედები და სხვა მრავალი (აღნიშნული ფაქტების ეჭვშეუვალობა დაფიქსირებულია ფოტოგრაფირებით, არსებული წესების დაცვით); ხსენებულით კი ასევე დარღვეულია სამუშოების წარმოების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული მოთხოვნები;

8. შენობის მიმდებარედ არ არის განთავსებული მშენებარე ობიექტის ამსახველი შესაბამისი ბანერი;

9. არ არის დაცული მშენებლობის უსაფრთხოების ნორმები,საფეხმავლო ტერიტორიაზე და კიბის უჯრედზე გამუდმებით ცვივა სამშენებლო მასალები და მათი ანატყორცნი;

10. დაკანონებული პროექტის ფასად ,,დ"- ,,ა" -სა და ფასად ,,ა" -,,დ"-ში მითითებულია შენობის ორივე მხარეს მინა ბლოკებით მოსაწყობი კონსოლების გვერდების მოწყობა, მუქი ფერის 3 ნაწილად დაყოფილი მინის ტიხრით, ანუ მოსაწყობია სამ სექციანი ვიტრაჟები, ფაქტიურად კი კანონდარღვევით მოწყობილია თეთრი ფერის გადმოსახსნელი გაუტიხრავი ფანჯრები;

11. დაკანონებული პროექტის ფასად ,, 7 "- ,,1" - ში, ნიშნულ -6.1-დან ნიშნულ +0.00 მდე, ღერძი ,,5" - დან ღერძი ,,1 " -ის ჩათვლით ნახაზით არ არის გათვალისწინებული ღიობის ამოშენება, ფაქტიურად კი კანონდარღვევით ხსენებული ღიობი ამოშენებულია; 3 სართულზე, -3.50 ნიშნულიდან +0.00 ნიშნულამდე ,,დ" და ,,გ" ღერძებში პროექტით მოსაწყობი იყო, ღია ვერანდა ან სივრცე, ხოლო ფაქტიურად კი კანონდარღვევით მოწყობილია 3 სექციანი ფანჯრის ღიობი;

12. წარმოდგენილ ჭრილ 3-3-ის,6 სართულზე, +11.60 ნიშნულიდან +15,45 ნიშნულამდე ,,დ" და ,,გ" ღერძებში პროექტით მოსაწყობი იყო, 5 სექციანი ვიტრაჟი, ხოლო ფაქტიურად კი კანონდარღვევით მოწყობილია ყრუ კედელი;

13. ჭრილ 2-2-ით, - 3.50 ნიშნულიდან + 0,00 ნიშნულამდე ,,1" და ,,2" ღერძებში პროექტით არ არის გათვალისწინებული საფანჯრე ღიობები, , თუმცა ფაქტიურად კი კანონდარღვევით მოწყობილია 2 ვიტრაჟული ტიპის ფანჯარა;

14. ჭრილ 2-2-ის, - 3.50 ნიშნულიდან + 0,00 ნიშნულამდე ,,2" და ,,3" ღერძებში პროექტით გათვალისწინებულია 2 საფანჯრე ღიობის მოწყობა, ხოლო ფაქტიურად კი კანონდარღვევით მოწყობილია 1 ფანჯარა და 2 ერთეული ფრამუგა;

15, ამასთან,კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გთხოვთ, გამოითხოვოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს,ქ.თბილისის მთავარი სამართველოს,ვაკე-საბურთალოს რაიონულ, შ.ს.ს. სამართველოს II განყოფილებაში სისხლის სამართლის საქმე №007250915004-ში არსებული, ს.ს.ი.პ.ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტის დასკვნა #000237416-ს,რათა საბოლოოდ, ნათელი მოეფინოს კანონიერებას და ხსენებული პანდუსის განი და პანდუსის შესასვლელი სიმაღლე, მოვიდეს დასკვნასთან შესაბამისობაში.ან გაითვალისწინეთ ექსპერტ ,,თამაზი 51"-ის დასკვნა (დანართი#1 ,,1" ფურცლად) და დემონტაჟი გაუკეტოთ უკანონოდ მოწყობილ პანდუსსა და მასზე შესასვლელ რიგელს,რაც განახორციელეთ დავით მახარაშვილის მიერ ახლად აშენებულ კორპუსში;

16. აბსოლიტურად შეუსაბამობაშია პროექტის ფასადები და ჭრილები და რომელი ნახაზია საბოლოოდ შეთანხმებული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ეს გასარკვევია;

17. გასათვალისწინებელია ის გარემოება რომ მშენებლობის დამკვეთის მიერ არ არის აღმოფხვრილი დარიცხული და დაჯარიმებული 10 000 ლარის გადახდის საფუძვლები და იგი განმეორებითაა აუცილებლად დასარიცხი და ამოსაღებია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

18.სასწრაფოდ გასახორციელებელია შენობის სრული ან ნაწილობრივი დემონტაჟი.

მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი გაანგარიშებით *III-ე კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობებისაზე* დასარიცხია შემდეგი თანხები;

ა) 3000 ლარს+3000ლარი საჯარიმო თანხა=6000 ლარს;

ბ) პირველი სამმაგი ოდენობით ჯარიმის დარიცხვა 6000 x3=18 000 ლარი; საერთოდ არ დარიცხვია;

გ) მეორე სამმაგი ოდენობით ჯარიმის დარიცხვა 18 000 x3=54 000 ლარი;

დ) მესამე სამმაგი ოდენობით ჯარიმის დარიცხვა 54 000 x3=162 000 ლარი;

სულ 6000ლარს +18 000 ლარი +54 000 ლარი+162 000 ლარი=240 000 ლარი.

შედეგად ე.ს.ა. ,,ვაჟა-ფშაველა 2007''-ს, ბიუჯეტის სასარგებლოდ (კალენდარული გეგმა გრაფიკის დარღვევისათვი დარიცხული თანხების გარეშე) ჯამში გადასახდელი აქვს არაუმცირეს 560 000 (ხუთას სამოცი ათასი ლარი) ლარი.

ამასთან მეზობლების სახელით წერილით მივმართეთ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და მოვითხოვეთ ლიცენზიის არ გაცემა შენობაში კლინიკის განთავსებაზე დანართი #1 ,, 5 '' ფურცლად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოქმედი კანონმდებლობით, ს.ს.ი.პ. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ვერ გახორციელდება ისეთი ტიპის დარღვევებისა შეთანხმება (დაკანონება) და ლეგალიზაცია, რომელიც წინააღმდეგობაშია, საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 6 იანვრის #41-ე და საქართველოს მთავრობის, 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებებთან, კერძოდ; სამშენებლო სამართალდამრღვევ, დავით მახარაშვილის მიერ მშენებარე საცხოვრებელ სახლში, დარღვეულია მუხლი 3, პუქტები 3,4,5-ის,მუხლი 4 , მუხლი 5-ის, პუქტი 1, 3-ისა და მუხლი 6-ით განსაზღვრული მოთხოვნები, (შშმპ-ისათვის განკუთვნილი პანდუსი არ არის დაცული ატმოსფერული ნალექებისაგან; არ არის ელექტრომექანიკური ამწე; საფეხურები არ არის ხორკლიანი ხედაპირით, შენობა არ არის მოწყობილი სპეციალური საევაკუაციო ტექნიკური მოწყობილობებითა და აღჭურვილობებით,დადგენილებით მოთხოვნილი კიბის ბაქანის სიგანე ნაცვლად, 1,5 მეტრისა, ფაქტიურად ჩატარებული აზომვების შედეგად არის 1,31მ და ა.შ)

ამასთანავე ვერანაირად ვერ შეთანხმდებოდა და დაკანონდებოდა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის დადგენილება #14-39-ის, ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' 39-ე მუხლით განსაზღვრული და მშენებელის მიერ უგულებელყოფილი მოთხოვნები, მათ შორის; ზემოთნახსენები საავტომობილო პანდუსების განი,სიმაღლე და

დახრა, ამასთან ხსენებული კანონის 39-ე მუხლის 12-ე პუნქტის თანახმად ,, პანდუსით ან ნებისმიერი შესასვლელ/გასასვლელით თუ ასევე უნდა ისარგებლოს ფეხმავალმა, (ვინ აუკრძალავს ფეხით მოსიარულეს გზაზე/პანდუსზე გადაადგილებას?) სავალდებულოა დამატებით მოეწყოს ტროტუარი არანაკლებ 0,8 მ. სიგანით''. ხსენებული მოთხოვნა პროექტით არაა გათვალისწინებული, არცერთ ზემოაღნიშნულ ობიექტზე, რაც წარმოადგენს კანონის უხეშ დარღვევას.

ამასთან,კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გთხოვთ, გამოითხოვოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს,ქ.თბილისის მთავარი სამართველოს,ვაკე-საბურთალოს რაიონულ, მ.ს.ს. სამართველოს II განყოფილებაში სისხლის სამართლის საქმე №007250915004-ში არსებული, ს.ს.ი.პ.ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტის დასკვნა #000237416-ს,რათა საბოლოოდ, ნათელი მოეფინოს კანონიერებას და ხსენებული პანდუსის განი და პანდუსის შესასვლელი სიმაღლე, მოვიდეს დასკვნასთან შესაბამისობაში.

ამრიგად ქ.თბილისის ვაჟა-ფშაველას 76ბ ; ვაჟა-ფშაველას 78ა-სა დ.თავხელიძის #1-ის, 570

550 მაცხოვრებლების კოლექტიური მოთხოვნაა შემდეგი;

დავით მახარაშვილის მიერ მშენებარე მრავალ ფუნქციურ კომპლექსთან დაკავშირებით

1. მშენებარე კომპლექსის მიწის ზემოთ უკანონოდ აშენებული ოთხი სართულიდან გახორციელდეს,სამი სართულის დემონტაჟი,რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა;

2. მშენებარე მრავალ ფუნქციურ კომპლექსში გახორციელდეს, 25% -იანი დახრით უკანონოდ მოწყობილი სამანქანო პანდუსის დემონტაჟი როგორც ეს გახორციელდა დავით მახარაშვილის მიერ აშენებულ მომიჯნავე კორპუსშიბინაში;

3. ნარჩენი მშენებარე მრავალ ფუნქციური კომპლექსის საკანალიზაციო მილი, არ ჩაერთოს ჩვენი კორპუსის კუთვნილ საკანალიზაციო ქსელში,ვინაიდან იგი მუდმივად იჭედება და იტბორება ჩვენი კორპუსის საძირკველი;

4. სასწრაფოდ მოაწესრიგოს მეტროს ამოსასვლელის წინ არსებული ტერიტორია და გამოსწორდეს გაუსაძლისი მგომარეობა;

5. სასწრაფოდ მოაწესრიგოს და გაამაგროს ვაჟა-ფშაველადან ჩამომავალი საფეხმავლო კიბე ისე რომ არ იტბორებოდეს მომდინარე ნალექის შემდეგ კიბის ბაქნები;

6.სასწრაფოდ დაიგოს, მშენებლ;ების მიერ განადგურებული მწვანე კორპუსის კუთვნილი 45მ² ასფალტო-ბეტონის საფარი.

7. ჩვენი კოპრპუსების ტერიტორიაზე განთავსდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი ურნები;

8.საგზაო ინფრასტრუქტურამ უზრუნველყოს სახანძრო-სამაშველო და საწრაფი სამედიცინო დახმარების მანქანების შემოსვლისა და მათი დაუბრკოლებლად გადაადგილების შესაძლებლობა.

9. სასწრაფოდ გახორციელდეს უკანონო შენობის სრული ან ნაწილობრივი დემონტაჟი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახეზეა, სახელმწიფოსა და ჩვენზე მოყენებული პირდაპირი, უშუალო და ერთმნიშვნელოვნათ მძიმე ზიანი და დაკანონებული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობა. შესაბამისად კრიმინალურ დანაშაულებრივი ქმედებით, ჩვენ მოგვადგა უმნიშვნელოვანესი ზიანი,ჩვენი კორპუსები პრაქტიკულად არის გაუვალი, განვიცდით მზის სინათლის ნაკლებობას,ანტისანიტარიასა და უჰაერობას, შესაბამისად გთხოვთ, განახორციელოთ კანონშესაბამისი მოქმედებები,მიიღოთ ადექვატური გადაწვეტილებები და გვაცნობოთ შედეგები.

შესაბამისად გთხოვთ, ადგილზე გასვლით გადაამოწმოთ წინამდებარე წერილში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების უტყუარობა, გასცეთ შესაბამისი მითითებები, დაიწყეთ ან/და განაახლეთ ადმინისტრაციული საქმეების წარმოება,სამშენებლო სამართალდამრღვევებს დაარიცხოთ ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადახდა, ჩაგვრთეთ მხარედ და გვაცნობეთ შედეგები;

p.s. ხსენებულ ობიექტებზე როგორც გაუწყებდით, გამუდმებით მიმდინარეობს სარევიზიო საკონტროლო აზომვითი სამუშაოები და სამართალდარღვევების ფიქსაცია, შედეგები პერმანენტულად გეცნობებათ თქვენ და მათ კომპლექსურ ერთობლიობას წარვუდგენთ საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილი წესით.

პატივისცემით, ზურაბ ბეიტრიშვილი

(პ/ნ 01024031682)

„21“ ნოემბერი 2018 წელი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 78ა ბინა #14 ს/ტ. 577 575704

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრს

ბატონ დავით სერგეენკოს

ბ.მ.ა. ,,იმედი-2012“-ის თავმჯდომარის,

არჩილ სადუნიშვილისა (მისამართი: ვაჟა-ფშაველას

ვამზ. 78ა ბინა #106ა ს/ტ597711786) და ბ.მ.ა. ,,ვაჟა-

ფშაველას 76ბ კორპუსის ამხანაგობის წევრების

კოლექტიური განცხადება

ქ.თბილისი. ,, “ ოქტომბერი, 2018 წ.

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში ვაჟა-ფშაველას 76ბ-ს მიმდებარედ, მეტრო ვაჟა-ფშაველას მარცხენა ამოსასვლელთან, მიწის საკადასტრო კოდ 01.14.03.039.055-ზე მიმდინარე უკანონოდ მშენებარე შენობა (მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, *სისხლის სამართლის საქმის №007250915004,* შენობის უკანონოდ აშენებაზე) შეიძინა **,,დავით ტატიშვილის კლინიკა”-მ** და ხსენებულ შენობაში აპირებს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური ცენტრის გახსნას, მოსახლეობა ამის კატეგორიული წინააღმდეგია და აღშფოთებულები ვართ. ხსენებული ეს პროტესტი გავაცანით **ბატონ დავით ტატიშვილის ვაჟს ბატონ გურამ ტატიშვილს, თუმცა, უშედეგოდ.**

ხსენებულ შენობაში ამბულატორიულ-პოლიკლინიკური ცენტრის გახსნით დაირღვევა მთელი რიგი საკანონმდებლო მოთხოვნები, კლინიკის ან ცენტრის ამ შენობაში გახსნა ჩვენთვის მიუღებელია და ამას შევეწინააღმდეგებით ყველანაირი კანონიერი ფორმით. ხსენებული ცენტრის გახსნით დაირღვევა კანონის არაერთი მოთხოვნა. კერძოდ: **მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე,** საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის დადგენილება **№** 359-ის მუხლი 1, მუხლი 5, მუხლი 13, რადგან ჩვენს მიერ არ მიეცა თანხმობა ჩვენს საკანალიზაციო მილზე მათი მილის მიერთებაზე და აპირებენ შენობის შიგნით ფეკალური მასების შემკრები ჭის მოწყობასა და მის საქაჩით გადატუმბვას შენობიდან, ვაჟა-ფშაველას გამზირზე გამავალ საკანალიზაციო სარინებელში. შენობის პირველი სართული მიწაშია ჩაჭრილი 8 მეტრით და მისი პირველი სართული მუდმივად

დატბორილია, მიწისქვეშა და ფეკალური მასებით დაბინძურებული წყლებით. ეს წყლები უკვე აღწევს ვაჟა-ფშაველას მეტროს ჩასასვლელის კიბეებზე და ვესტიბიულში. შენობაზე უკანონოდ დაშენდა რამდენიმე სართული და სახურავზე იგეგმება ჩილერების მონტაჟი. მათი ხმაური კი გაუსაძლის გახდის ჩვენს ცხოვრებას ბინებში. ხსენებულით დაირღვევა 2003 წლის 6 ოქტომბრის,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №233/ნ-ის მოთხოვნები რადგან თავი II –ით განსაზღვრული ჰიგიენური მოთხოვნები ტერიტორიისადმი არ პასუხობს კანონით დადგენილ პარამეტრებს, რადგან ,,დასახლებული პუნქტების სელიტებურ ზონაში აშენებული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები უნდა განთავსდეს მშენებლობის წითელი ხაზიდან არა უახლოეს 30 მეტრისა. რეალურად ჩვენს კორპუსსა და ხსენებულ შენობას, შორის ფაქტიური დაშორებაა 10.80 მეტრია. „ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები უნდა განთავსდეს სელიტებურ, გამწვანებულ ზონებში.” ფაქტიურად ასეთი ზონა არ არსებობს, უფრო მეტიც, აღნიშნული ადგილი მშენებლობის დაწყებამდე წარმოადგენდა ფაქტიურ ნაგავსაყრელსა და ფეკალებით დაბინძურებულ ტერიტორიას.

,,ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებაში ნარჩენების შეგროვება და გატანა უნდა წარმოებდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №300/ნ ბრძანების “სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლების სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ” შესაბამისად. ხსენებული, პრაქტიკულად, არ შესრულდება, რადგან შესაბამისი მანქანები ტერიტორიაზე ვერ შემოდის გზის სივიწროვის გამო.

,,ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ტერიტორია უნდა იყოს დაშორებული რკინიგზიდან და ფიზიკური ფაქტორების ზეგავლენის სხვა მძლავრი წყაროებიდან, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №297/ნ ბრძანებით “გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ” დადგენილი ხმაურის დასაშვები ნორმები”; ,,ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ტერიტორიაზე დაუშვებელია სხვა სახის დაწესებულების, საცხოვრებელი სახლის, აგრეთვე, რაიმე სხვა ნაგებობის ან მოწყობილობის განთავსება, რომელიც ფუნქციურად არ უკავშირდება ზემოაღნიშნული დაწესებულების საქმიანობას.”

ფაქტიურად, ხსენებული შენობა 5 მეტრშია მეტროსთან, 3 მეტრაშია ახალგაზრობის ცენტრთან და 0,5მ-ში საფეხმავლო კიბესთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, არ გასცეთ სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია და შესაბამისი პასპორტი ხსენებულ მისამართზე.თქვენი კომპეტენციის ფარგლებში გაატარეთ კანონშესაბამისი ღონისძიებები და გვაცნობოთ შედეგები.

პატივისცემით,

განმცხადებლები: 12. ნოემბერი, 2018 წ.

ბ.მ.ა. იმედი-2012 -ის თავმჯდომარე: *არჩილ სადუნიშვილი*

ბ.მ.ა. იმედი-2012 -ის წევრები:

ბ.მ.ა. ,,ვაჟა-ფშაველას 76ბ წევრები:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებისა და კორპუსში მცხოვრები პირების ხემოწერების სია:			
№	უძრავი ქონების მესაკუთრის ან კორპუსში მცხოვრები წევრის სახელი, გვარი; იურიდიული პირის დასახელება	ბინისა და მესაკუთრის პირადი №	ხელმოწერა
1	ბ.№7 [illegible]	17001006213	
2	ბ.№106 [illegible]	01008035539	
3	ბ.№23 [illegible]	01006008829	
4	ბ.№109 [illegible]	61004005060	
5	ბ.№77 [illegible]	01030017600	
6	ბ.№14 [illegible]	01084031622	
7	ბ.№24 [illegible]	26001000447	
8	ბ.№54 [illegible]	01013022996	
9	ბ.№52 [illegible]	01024072916	
10	ბ48 [illegible]	01030028733	
11	ბ46 [illegible]	60001025905	
12	ბ44 [illegible]	01201130012	
13	ბ42 [illegible]	35001036135	
14	ბ41 [illegible]	01024055458	
15	ბ36 [illegible]	62001005028	
16	ბ.33 [illegible]	01024033565	
17	ბ.26 [illegible]	01007013097	
18	ბ55. [illegible]	01027013024	
19	93ბ [illegible]	37001018590	
20	75 [illegible]	37001010948	
21	69 [illegible]	61008077703	
22	ბ58-59 [illegible]	01008023618	
23	105 [illegible]	36001002950	
24	106 [illegible]	61001034730	

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებისა და კორპუსში მცხოვრები პირების ხელმოწერების სია:

№	უძრავი ქონების მესაკუთრის ან კორპუსში მცხოვრები წევრის სახელი, გვარი; იურიდიული პირის დასახელება	ბინისა და მესაკუთრის პირადი №	ხელმოწერა
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			
17			
18			
19			
20			
21			
22			
23			
24			

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებისა და კორპუსში მცხოვრები პირების ხელმოწერების სია:

№	უძრავი ქონების მესაკუთრის ან კორპუსში მცხოვრები წევრის სახელი, გვარი; იურიდიული პირის დასახელება	ბინისა და მესაკუთრის პირადი №	ხელმოწერა
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			
17			
18			
19			
20			
21			
22			
23			
24			